



ENPARD: A European Union Programme supporting Agriculture and Rural Development



სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების განვითარების სააგენტო



საბოლოო ანგარიში: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭო და მისი დებულება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერება

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (ENPARD)

Europe Aid/136454/DH/SER/GE

პროექტს ახორციელებენ:



EVOLUXER S.L.
International Consulting



sarga

AVENSA

ექსპერტი:

გიორგი დანგაძე

2017 წლის ივნისი

შენიშვნა:

„აღნიშნული ანგარიში მომზადდა ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის კონსულტანტს და არ ასახავს ევროკავშირის ოფიციალურ შეხედულებებს.“

აბრევიატურები და აკრონიმები

ACDA	სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
NFA	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
NWA	სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო
LMA	სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
APMA	ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
ASRS	სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
GA	შპს საქართველოს მელიორაცია
ENPARD	ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის
GACA	საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია
GoG	საქართველოს მთავრობა
ICA	კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსი
ICCs	საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები
MoA	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
RFP	მოთხოვნა წინადადების წარდგენაზე
SoWs	სამუშაოს მოცულობა
STTA	მოკლევადიანი ტექნიკური დახმარება
TA	ტექნიკური დახმარება
TL	გუნდის ხელმძღვანელი
ToR	კონკურსის პირობები
ToT	ტრენერთა ტრენინგი (პროგრამა)
WD	სამუშაო დღეები

შინაარსი

შინაარსი.....	3
1. მოკლე შეჯამება	4
3. სამუშაოს მთავარი დამკვეთების და დაინტერესებული მხარეების აღწერა	8
4. დავალების მიზნისა და არეალის განსაზღვრა.....	10
5. მიდგომის/მეთოდოლოგიის მიმოხილვა და გამოყენებული მექანიზმები.....	10
6. დეტალური წინადადება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს საკოორდინაციო საბჭოს შექმნა და განვითარება.....	11
7. დასკვნები და რეკომენდაციები.....	14
განაცხადის წარდგენის მოთხოვნები	19

დანართები:

დანართი 1: ექსპერტის შესარჩევი კონკურსის პირობები;

დანართი 2: სტეიქჰოლდერების (დაინტერესებული მხარეების) ჩამონათვალი, რომლებსაც ჩაუტარდათ გასაუბრება და ინტერვიუ;

დანართი 3: განმარტებითი ბარათი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე;

დანართი 4: საქართველოს მთავრობის დადგენილება საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე;

დანართი 5: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე;

1. მოკლე შეჯამება

1ა. ექსპერტი, ბ-ნი გიორგი დანგაძე, დაქირავებული იქნა საკონსულტაციო კომპანიის, ევოლუქსერის მიერ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოში ხორციელდება. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) ფარგლებში;

1ბ. ექსპერტის შესარჩევი კონკურსის პირობები მოცემულია პირველ დანართში, ხოლო სამუშაო გეგმა კი მეორე დანართში;

1გ. აღნიშნული გაძლიერების პროექტის ფარგლებში, ექსპერტს დაევალება 1.24 აქტივობის განხორციელება, რაც გულისხმობს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის მხარდაჭერა სამინისტროთა შორის და სამინისტროს შიგნით შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების კოორდინაციის გზით“.

1დ. 1.24 აქტივობის მიზანია შეიქმნას მთავრობის საკოორდინაციო საბჭო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კუთხით დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტისათვის, ბარიერების აღმოფხვრისათვის და გადაუდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად, იმიტომ რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებული ბევრი ფუნქცია არ არის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში. აღნიშნული ფუნქციები წარმოადგენს სხვა სამთავრობო დაწესებულებების ან მათ სისტემაში შემავალი უწყებების კომპეტენციას;

1ე. 1.24 აქტივობის შედეგად, კოოპერატივებს ექნებათ სტიმული, რათა ჩაერთონ გაძლიერების სხვადასხვაგვარ პროგრამებში და განვითარდნენ სხვადასხვა მიმართულებებით;

1ვ. 1.24 აქტივობის ინდიკატორია, ნორმატიული აქტის მიღება პრემიერ-მინისტრის სათათბირო კოლეგიური ორგანოს შესახებ, რომელიც მუშაობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადაუდებელ და დაგროვილ საკითხებზე ;

1ზ. ENPARD-ის კონსორციუმის რეკომენდაციის თანახმად, საკოორდინაციო საბჭოს და მისი დებულების შექმნისას, შემდეგი კრიტერიუმები უნდა იყოს გათვალისწინებული:

- კოოპერაციული ორგანიზაციის ფუნდამენტური პრინციპების დაცვა (ICA 1995);
- მთავრობის დადგენილების მიღება საბჭოს შექმნის შესახებ;
- მთლიანად საზოგადოების ჩართულობის დონე და წევრთა გაზრდის დინამიკა;
- საზოგადოების ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის დონე;
- ინოვაციის პოტენციალი;
- წვლილი ბუნებრივი რესურსების მდგრადი და უსაფრთხო გამოყენების კუთხით და ბიზნეს საქმიანობის შედეგად ბუნებრივი გარემოს დაუზიანებლობა;
- ახალგაზრდების ჩართულობა და გენდერული თანასწორობა;

1ა. სამუშაოს მთავარ მიმღებ მხარეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო წარმოადგენს, კონკრეტულად კი ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბ-ნი გიორგი მიშელაძე;

1ბ. პროცესში ჩართული მხარეები აგრეთვე არიან - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სხვა სამთავრობო დაწესებულებები, ACDA, GACA, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ასევე ENPARD-ის კონსორციუმში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები (ქვა საერთაშორისო კავკასიაში, ოქსფამი, ადამიანი გაჭირვებაში და მერსი ქორფსი);

1კ. მიდგომა/მეთოდოლოგია შემდეგი ძირითადი ოთხი ნაწილისგან შედგება:

- i. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესახებ კვლევის ჩატარება ინტერნეტ სივრცეში;
- ii. ინტერვიუები მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან საქართველოში;
- iii. საქართველოს კანონმდებლობის კვლევა;
- iv. ექსპერტის პირადი გამოცდილების პრაქტიკული გამოყენება, რომელიც მოიცავს საქართველოში მრავალ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან სამართლებრივი კუთხით მუშაობას საქართველოს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მცხეთა-მთიანეთი, ახმეტა, თელავი, გორი, კასპი, წალკა, დმანისი, ბოლნისი, სამეგრელო და გურია;

1ლ. ინტერნეტ კვლევა ძირითადად მოიცავდა სხვა ქვეყნების ანალოგიური საბჭოების მოძიებას, რათქმუნდა თუ არსებობს ასეთი იქ. ევროკავშირის სხვადასხვა დოკუმენტებში ზოგიერთი საჭირო ფუნქცია ნანახი იქნა, მაგრამ ზუსტად ასეთი საბჭო, სააგენტო ან უფლებამოსილი ორგანო ნანახი არ იქნა;

1მ. გასაუბრებები და ინტერვიუები ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებთან და GACA-ს წარმომადგენლებთან, რომლებიც მხარს უჭერენ ასეთი საბჭოს შექმნას. შეხვედრა ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარესთან გიორგი მიშელაძესთან, რომელიც მხარს უჭერს ასეთი საბჭოს შექმნის იდეას და მისდამი შესაბამისი ფუნქციების მინიჭებას, იმიტომ რომ საბჭოს ექნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დაგროვილი და აუცილებელი საკითხების გადაჭრის მექანიზმი.

2. კონტექსტის გაცნობა და აღწერა, რომელშიც მოხდა სამუშაოს შესრულება:

ექსპერტი, ბ-ნი გიორგი დანგაძე, დაქირავებული იქნა საკონსულტაციო კომპანიის, ევოლუქსერის მიერ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოში ხორციელდება. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) ფარგლებში;

ექსპერტის შესარჩევი კონკურსის პირობები მოცემულია პირველ დანართში;

აღნიშნული გაძლიერების პროექტის ფარგლებში, ექსპერტს დაევალა 1.24 აქტივობის განხორციელება, რაც გულისხმობს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის მხარდაჭერა სამინისტროთა შორის და სამინისტროს შიგნით შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების კოორდინაციის გზით“.

წინამდებარე მთავრობის დადგენილების „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემუშავება განპირობებულია იმ აუცილებლობით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები, საჭიროებისას (მათ შორის გადაუდებელი საჭიროებისას, მაგ: სტიქიური უბედურება) შესაბამისი სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება და ა.შ. განხორციელება საკმაოდ რთულია ან შეუძლებელია მართო ერთი სამთავრობო უწყების ან მის მიმართ დაქვემდებარებული სტრუქტურის (მაგ: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო) მეშვეობით და სცილდება მის (მათ) კომპეტენციას.

სოფლის მეურნეობის დარგების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა მთავრობის მთლიანად ან ცალკეული მისი უწყებების ჩართულობა საქმიანობის ეფექტიანობისათვის (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ასეთი ცვლილების დარეგისტრირება ეხება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის და ოპერირების მნიშვნელოვანი დეტალები დამოკიდებული არაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოზე, არამედ სხვა სამთავრობო დაწესებულებების კომპეტენციას წარმოადგენს).

სწორედ ასეთი გარემოებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სამთავრობო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სადაც საჭიროების მიხედვით ჩართული იქნებიან საქართველოს სამთავრობო დაწესებულებები (მათი საქვეუწყებოები და სსიპ-ები), არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ასეთი საბჭო შეიქმნება და მისი დებულება დამტკიცდება მთავრობის ნორმატიული აქტით (დადგენილებით).

საბჭოს ექნება სამთავრობო კოორდინაციის გზით დაგროვილი და სწრაფად მოსაგვარებელი საკითხების ეფექტიანად გადაჭრის მექანიზმი. საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები იქნებიან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, სსიპ შემოსავლების სამსახურის თავჯდომარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

იქნება საბჭოს წევრი და მდივანი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბჭოს მუშაობა, ორგანიზება და შესაბამისი დღის წესრიგის მომზადება.

საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები;

ასეთი საბჭოს შექმნის აუცილებლობა არის სწორედ ეხლა, რაც მოიტანა დრომ და გარემოებამ. ქვეყანაში სახეზეა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის მაღალი დონე, მთავრობის და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერილი პროგრამები, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმიანობა და მისი ფუნქციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამების და პროექტების მიმდინარეობა (მაგ: თხილი, მეფუტკრეობა, მერძევეობა, მევენახეობა), შესაბამისი ნორმატიული ბაზის მიღება, რომელიც ეხება მაგალითად შეღავათიან აკროკრედიტს, თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს, მათ შორის საგადასახადო შეღავათები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის (გრანტების შესახებ კანონი, საგადასახადო კოდექსი). არც არასამთავრობო სექტორია გვერძე დარჩენილი, მაგ: დაფუძნდა და წარმატებით ფუნქციონირებს ააიპ „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია“. მთავრობის დადგენილებით მოცემული საბჭოს უფლებამოსილებები მხოლოდ დახვეწავს და ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელებას. საბჭოზე შესაბამისი საჭირობო როტო საკითხების გატანით, მთლიანად მთავრობის ჩართულობით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის აუცილებელი საკითხების გადაწყვეტით, კიდევ უფრო ეფექტიანი გახდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობა, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაუადვილდებათ სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცედურები და შეუმცირდებათ ბიუროკრატიული ბარიერები. საბჭოს არ ყავს აპარატი. წარმოდგენილი დადგენილების მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. დადგენილების მიღებას გავლენა არ აქვს სახელმწიფოს ბიუჯეტის საშემოსავლო ან ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას. დადგენილების მიღებით სხვა ნორმატიულ აქტებში არ შედის რაიმე ცვლილებები და დამატებები.

მოგვიანებით, გარკვეული პერიოდის შემდგომ, მე მითხრეს რომ მომემზადებინა არამართო მთავრობის დადგენილება საბჭოს შექმნის შესახებ, არამედ ასევე სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება მსგავსი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მე რათქმაუნდა ვიმუშავე ასეთი ნორმატიული აქტის პროექტზე და მოკლე პერიოდში აღნიშნული პროექტი მზად მქონდა. ორი ნორმატიული აქტის პროექტი (მთავრობის დადგენილება და მინისტრის ბრძანება) კომპეტენციების კუთხით წააგავს ერთმანეთს, მაგრამ რათქმაუნდა არის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. რათქმაუნდა უმნიშვნელოვანესი განსხვავებაა საბჭოს არსებობის ერთ

შემთხვევაში სამთავრობო დინე, რასაც თავჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აღნიშნული საბჭო წარმოადგენს მის სათათბირო ორგანოს, უფლებამოსილებების მიხედვით იგი ანაწილებს ფუნციებს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს შორის, მეორე შემთხვევაში კი (სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება) მინისტრი ანაწილებს ფუნქციებს სამინისტროს უწყებებს შორის და ასევე იწვევს და წინადადებას წარადგენს სხვა სამინისტროების წინაშე რათა გადაწყვეტილ იქნას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები. ასეთ შემთხვევაში სხვა სამინისტროები უფლებამოსილნი არიან და არა ვალდებული მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობის ასეთ ფორმატში, მაშინ როდესაც სხვა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების როლი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაგროვილი საკითხების მოგვარებაში ძალიან დიდია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებული საბჭოს ჰყავს მუდმივი და მოწვეული წევრები.

საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დირექტორი, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, შპს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი, შპს მექანიზატორი, საჭიროებისას, საქართველოს კონკრეტული რეგიონის მიხედვით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - რეგიონალური სამმართველოების წარმომადგენლები.

საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით (ან მის გარეშე) შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სექტორული სამუშაო ჯგუფების წევრები და ა.შ. ;

საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის წინაშე;

საბჭოს წევრთა საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი და მათთან რაიმე სახის ხელშეკრულება არ ფორმდება;

საბჭოს კომპეტენციები და უფლებამოსილებები დეტალურადაა მოცემული სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებაში საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

3. სამუშაოს მთავარი დამკვეთების და დაინტერესებული მხარეების აღწერა

სამუშაოს მთავარ მიმღებ მხარეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო წარმოადგენს, კონკრეტულად კი ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბენი გიორგი მიშელაძე;

საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები იქნებიან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, სსიპ შემოსავლების სამსახურის თავჯდომარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო იქნება საბჭოს წევრი და მდივანი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბჭოს მუშაობა, ორგანიზება და შესაბამისი დღის წესრიგის მომზადება.

საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები;

სოფლის მეურნეობის დარგების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა მთავრობის მთლიანად ან ცალკეული მისი უწყებების ჩართულობა საქმიანობის ეფექტიანობისათვის (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ასეთი ცვლილების დარეგისტრირება ეხება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის და ოპერირების მნიშვნელოვანი დეტალები დამოკიდებული არაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოზე, არამედ სხვა სამთავრობო დაწესებულებების კომპეტენციას წარმოადგენს).

სწორედ ასეთი გარემოებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სამთავრობო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სადაც საჭიროების მიხედვით ჩართული იქნებიან საქართველოს სამთავრობო დაწესებულებები (მათი საქვეუწყებოები და სსიპ-ები), არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ასეთი საბჭო შეიქმნება და მისი დებულება დამტკიცდება მთავრობის ნორმატიული აქტით (დადგენილებით).

თუ კი საბჭო შეიქმნება სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, მაშინ მთავარი დაინტერესებული მხარეები იქნებიან: პირველ რიგში რათქმაუნდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, შემდეგ კი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დირექტორი, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, შპს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი, შპს მექანიზატორი, საჭიროებისას,

საქართველოს კონკრეტული რეგიონის მიხედვით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - რეგიონალური სამმართველოების წარმომადგენლები.

საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით (ან მის გარეშე) შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სექტორული სამუშაო ჯგუფების წევრები და ა.შ. ;

4. დავალების მიზნისა და არეალის განსაზღვრა

აღნიშნული გაძლიერების პროექტის ფარგლებში, ექსპერტს დაევა 1.24 აქტივობის განხორციელება, რაც გულისხმობს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის მხარდაჭერა სამინისტროთა შორის და სამინისტროს შიგნით შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების კოორდინაციის გზით“.

1.24 აქტივობის მიზანია შეიქმნას მთავრობის საკოორდინაციო საბჭო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კუთხით დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტისათვის, ბარიერების აღმოფხვრისათვის და გადაუდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად, იმიტომ რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებული ბევრი ფუნქცია არ არის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში. აღნიშნული ფუნქციები წარმოადგენს სხვა სამთავრობო დაწესებულებების ან მათ სისტემაში შემავალი უწყებების კომპეტენციას;

5. მიდგომის/მეთოდოლოგიის მიმოხილვა და გამოყენებული მექანიზმები

მიდგომა/მეთოდოლოგია შემდეგი ძირითადი ოთხი ნაწილისგან შედგება:

- i. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესახებ კვლევის ჩატარება ინტერნეტ სივრცეში;
- ii. ინტერვიუები მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან საქართველოში;
- iii. საქართველოს კანონმდებლობის კვლევა;
- iv. ექსპერტის პირადი გამოცდილების პრაქტიკული გამოყენება, რომელიც მოიცავს საქართველოში მრავალ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან სამართლებრივი კუთხით მუშაობას საქართველოს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მცხეთა-მთიანეთი, ახმეტა, თელავი, გორი, კასპი, წალკა, დმანისი, ბოლნისი, სამეგრელო და გურია;

ინტერნეტ კვლევა ძირითადად მოიცავდა სხვა ქვეყნების ანალოგიური საბჭოების მოძიებას, რათქმაუნდა თუ არსებობს ასეთი იქ. ევროკავშირის სხვადასხვა დოკუმენტებში ზოგიერთი საჭირო ფუნქცია ნანახი იქნა, მაგრამ ზუსტად ასეთი საბჭო, სააგენტო ან უფლებამოსილი ორგანო ნანახი არ იქნა;

გასაუბრებები და ინტერვიუები ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებთან და GACA-ს წარმომადგენლებთან, რომლებიც მხარს უჭერენ ასეთი საბჭოს შექმნას. შეხვედრა ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავჯდომარესთან გიორგი მიშელაძესთან, რომელიც მხარს უჭერს ასეთი საბჭოს შექმნის იდეას და მისდამი შესაბამისი ფუნქციების მინიჭებას, იმიტომ რომ საბჭოს ექნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დაგროვილი და აუცილებელი საკითხების გადაჭრის მექანიზმი.

6. დეტალური წინადადება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს საკოორდინაციო საბჭოს შექმნა და განვითარება

წინამდებარე მთავრობის დადგენილების „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემუშავება განპირობებულია იმ აუცილებლობით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები, საჭიროებისას (მათ შორის გადაუდებელი საჭიროებისას, მაგ: სტიქიური უბედურება) შესაბამისი სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება და ა.შ. განხორციელება საკმაოდ რთულია ან შეუძლებელია მარტო ერთი სამთავრობო უწყების ან მის მიმართ დაქვემდებარებული სტრუქტურის (მაგ: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო) მეშვეობით და სცილდება მის (მათ) კომპეტენციას.

სოფლის მეურნეობის დარგების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა მთავრობის მთლიანად ან ცალკეული მისი უწყებების ჩართულობა საქმიანობის ეფექტიანობისათვის (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ასეთი ცვლილების დარეგისტრირება ეხება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის და ოპერირების მნიშვნელოვანი დეტალები დამოკიდებული არაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოზე, არამედ სხვა სამთავრობო დაწესებულებების კომპეტენციას წარმოადგენს).

სწორედ ასეთი გარემოებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სამთავრობო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სადაც საჭიროების მიხედვით ჩართული იქნებიან საქართველოს სამთავრობო დაწესებულებები (მათი საქვეუწყებოები და სსიპ-ები), არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ასეთი საბჭო შეიქმნება და მისი დებულება დამტკიცდება მთავრობის ნორმატიული აქტით (დადგენილებით).

საბჭოს ექნება სამთავრობო კოორდინაციის გზით დაგროვილი და სწრაფად მოსაგვარებელი საკითხების ეფექტიანად გადაჭრის მექანიზმი. საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები იქნებიან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, სსიპ შემოსავლების სამსახურის თავჯდომარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო იქნება საბჭოს წევრი და მდივანი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბჭოს მუშაობა, ორგანიზება და შესაბამისი დღის წესრიგის მომზადება.

საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები;

ასეთი საბჭოს შექმნის აუცილებლობა არის სწორედ ეხლა, რაც მოიტანა დრომ და გარემოებამ. ქვეყანაში სახეზეა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის მაღალი დონე, მთავრობის და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერილი პროგრამები, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმიანობა და მისი ფუნქციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამების და პროექტების მიმდინარეობა (მაგ: თხილი, მეფუტკრეობა, მერძევეობა, მევენახეობა), შესაბამისი ნორმატიული ბაზის მიღება, რომელიც ეხება მაგალითად შეღავათიან აკროკრედიტს, თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს, მათ შორის საგადასახადო შეღავათები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის (გრანტების შესახებ კანონი, საგადასახადო კოდექსი). არც არასამთავრობო სექტორია გვერძე დარჩენილი, მაგ: დაფუძნდა და წარმატებით ფუნქციონირებს ააიპ „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია“. მთავრობის დადგენილებით მოცემული საბჭოს უფლებამოსილებები მხოლოდ დახვეწავს და ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელებას. საბჭოზე შესაბამისი საჭირობოტო საკითხების გატანით, მთლიანად მთავრობის ჩართულობით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის აუცილებელი საკითხების გადაწყვეტით, კიდევ უფრო ეფექტიანი გახდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობა, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაუადვილდებათ სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცედურები და შეუმცირდებათ ბიუროკრატიული ბარიერები. საბჭოს არ ყავს აპარატი. წარმოდგენილი დადგენილების მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. დადგენილების მიღებას გავლენა არ აქვს სახელმწიფოს ბიუჯეტის საშემოსავლო ან ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას. დადგენილების მიღებით სხვა ნორმატიულ აქტებში არ შედის რაიმე ცვლილებები და დამატებები.

მოგვიანებით, გარკვეული პერიოდის შემდგომ, მე მითხრეს რომ მომემზადებინა არამართო მთავრობის დადგენილება საბჭოს შექმნის შესახებ, არამედ ასევე სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება მსგავსი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მე რათქმაუნდა ვიმუშავე ასეთი ნორმატიული აქტის პროექტზე და მოკლე პერიოდში აღნიშნული პროექტი მზად მქონდა. ორი ნორმატიული აქტის პროექტი (მთავრობის დადგენილება და მინისტრის ბრძანება) კომპეტენციების კუთხით წააგავს ერთმანეთს, მაგრამ რათქმაუნდა არის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. რათქმაუნდა უმნიშვნელოვანესი განსხვავებაა საბჭოს არსებობის ერთ შემთხვევაში სამთავრობო დინე, რასაც თავჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აღნიშნული საბჭო წარმოადგენს მის სათათბირო ორგანოს, უფლებამოსილებების მიხედვით იგი ანაწილებს ფუნციებს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს შორის, მეორე შემთხვევაში კი (სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება) მინისტრი ანაწილებს ფუნქციებს სამინისტროს უწყებებს შორის და ასევე იწვევს და წინადადებას წარადგენს სხვა სამინისტროების წინაშე რათა გადაწყვეტილ იქნას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები. ასეთ შემთხვევაში სხვა სამინისტროები უფლებამოსილნი არიან და არა ვალდებული მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობის ასეთ ფორმატში, მაშინ როდესაც სხვა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების როლი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაგროვილი საკითხების მოგვარებაში ძალიან დიდია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებული საბჭოს ჰყავს მუდმივი და მოწვეული წევრები.

საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დირექტორი, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, შპს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი, შპს მექანიზატორი, საჭიროებისას, საქართველოს კონკრეტული რეგიონის მიხედვით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - რეგიონალური სამმართველოების წარმომადგენლები.

საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით (ან მის გარეშე) შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სექტორული სამუშაო ჯგუფების წევრები და ა.შ. ;

საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის წინაშე;

საბჭოს წევრთა საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი და მათთან რაიმე სახის ხელშეკრულება არ ფორმდება;

საბჭოს კომპეტენციები და უფლებამოსილებები დეტალურადაა მოცემული სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებაში საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

7. დასკვნები და რეკომენდაციები

მთავრობის დადგენილების პროექტში საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ მოცემულია ის ძირითადი მიზანი და კომპეტენციები რისთვისაც იქმნება ასეთი საბჭო, ჩანს ასევე საბჭოს პოტენციალი, რა სახის პრობლემებს გადაჭრის ის და როგორ შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ხელს საქართველოში. ამავდროულად საბჭო არ ითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს და სახელმწიფოს ხარჯებს. აქ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის ის რომ სათანადო კოორდინაციით და ფუნქციების გადანაწილებით ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის (არამარტო), უნდა მოგვარდეს და გადაიჭრას საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელოვანი პრობლემები და დაგროვილი საკითხები. ასეთი საბჭოს შექმნის აუცილებლობა არის სწორედ ეხლა, რაც მოიტანა დრომ და გარემოებამ. ქვეყანაში სახეზეა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის მაღალი დონე, მთავრობის და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერილი პროგრამები, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმიანობა და მისი ფუნქციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამების და პროექტების მიმდინარეობა (მაგ: თხილი, მეფუტკრეობა, მერძევეობა, მევენახეობა), შესაბამისი ნორმატიული ბაზის მიღება, რომელიც ეხება მაგალითად შეღავათიან აკროკრედიტს, თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს, მათ შორის საგადასახადო შეღავათები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის (გრანტების შესახებ კანონი, საგადასახადო კოდექსი). არც არასამთავრობო სექტორია გვერძე დარჩენილი, მაგ: დაფუძნდა და წარმატებით ფუნციონირებს აიპ „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია“. მთავრობის დადგენილებით მოცემული საბჭოს უფლებამოსილებები მხოლოდ დახვეწავს და ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელებას. საბჭოზე შესაბამისი საჭირობოროტო საკითხების გატანით, მთლიანად მთავრობის ჩართულობით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის აუცილებელი საკითხების გადაწყვეტით, კიდევ უფრო ეფექტიანი გახდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობა, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაუადვილდებათ სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცედურები და შეუმცირდებათ ბიუროკრატიული ბარიერები.

თუ კი გადაწყდება, რომ საკოორდინაციო საბჭო შეიქმნას არა მთავრობის არამედ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დონეზე, მაშინ შესაბამისი ბრძანება ხაზს უნდა უსვამდეს ჩართულობის და კოორდინაციის სათანადო დონეს. შესაძლებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების და და მთდამი დაქვემდებარებული უწყებების მოწვევის შესაძლებლობა, რათქმუნდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო უნდა იყოს საბჭოს მდივანი და დღის წესრიგის მთავარი წარმართველი.

როგორც მთავრობის დადგენილებაში ასევე მინისტრის ბრძანებაში, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ფუნქცია ხაზგასმული უნდა იყოს, რადგან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კუთხით ის არის მთავარი საკითხების დღის წესრიგში დაყენების და ასევე შესაბამისი პრობლემის გადაწყვეტის შესახებ წინადადების წარმდგენი.

არასამთავრობო სექტორის და რეგიონალური დონიდან სამთავრობო დონეზე მნიშვნელოვანი საკითხების წამოწვევის მნიშვნელობა ხაზგასმული უნდა იქნას ორივე ნორმატიულ აქტში.

დანართები:

დანართი 1: ექსპერტის შესარჩევი კონკურსის პირობები;

დანართი 2: სტეიქჰოლდერების (დაინტერესებული მხარეების) ჩამონათვალი, რომლებსაც ჩაუტარდათ გასაუბრება და ინტერვიუ;

დანართი 3: განმარტებითი ბარათი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე;

დანართი 4: საქართველოს მთავრობის დადგენილება საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე;

დანართი 5: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე;

დანართი N1

დანართი 48: 1.24 კოოპერატივების განვითარების სფეროში სამინისტროს შიდა და სამინისტროთაშორისი პოლიტიკის და პროგრამების კოორდინაციის ხელშეწყობა

პოზიცია: კოოპერატივების განვითარების სფეროში სამინისტროს შიდა და სამინისტროთაშორისი პოლიტიკის და პროგრამების მოდელის შემუშავების ექსპერტი (ადგილობრივი)

(საქმიანობა 1.24)

ამოცანების პაკეტის ხანგრძლივობა: 3 თვე (ძირითადად აპრილი - ივნისი 2017)

ექსპერტის კაც-დღეები: 20 კაცდღემდე (ორი დავალება - თითოეული 10 დღე. პირველი დავალება მოიცავს მოდელის შეთავაზებას, ხოლო მეორე დავალება - ამ მოდელის დანერგვაში დახმებას საქართველოს მთავრობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

დავალების მიზანი

დავალების მიზანია საქართველოს მთავრობისთვის წინადადების წარდგენა და დადებითი დასკვნის შემთხვევაში, კოლეგიალური ორგანოს, ე.წ. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის საბჭოს“, დაფუძნებაში დახმარება. ამ საბჭოს თავმჯდომარე იქნება პრემიერ მინისტრის, ხოლო წევრები სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის, იუსტიციის, განათლების, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრები და სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე და ბიზნეს ომბუდსმენი. საბჭოში დამკვირვებლის სტატუსით შეიძლება მოწვეული იქნეს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, რაც უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოსთან კავშირს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს მინიმუმ წელიწადში ორჯერ. საბჭო განიხილავს სხვადასხვა სამინისტროების პოლიტიკას და წინადადებებს ხელშეწყობის სქემებთან დაკავშირებით და მცირემიწიანი ფერმერების და მათი ჯგუფების/კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამებში სამინისტროების ინტეგრაციის შესაძლებლობებს. აუცილებელია საბჭოს მიენიჭოს სათანადო უფლებამოსილება, რომ მან წარმოადგინოს დასკვნა განვითარების პოლიტიკის ნებისმიერ ღონისძიებაზე, პროგრამაზე და/ან სუბსიდიაზე და ხელშეწყობის პროგრამაზე, რომელთა მიზანია სოფლად დახმარების განხორციელება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (სააგენტო) სავარაუდოდ შეასრულებს საბჭოს სამდივნოს ფიუნქციებს და მას დაევალება საბჭოს დღის წესრიგის, სამუშაო გეგმის და შეხვედრების მომზადება.

პროექტის მიზნები და ამოცანები

პროექტის ზოგადი მიზანია საქართველოში სურსათის წარმოების ზრდის და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობა. პროექტის ამოცანებია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (სააგენტო) ინსტიტუციური პოტენციალის და კომპეტენციის გაძლიერება, ტრენინგის უწყვეტი პროგრამის ორგანიზება რეგისტრირებული კოოპერატივების მენეჯერებისთვის და ხელმძღვანელობისთვის, რეგისტრირებულ კოოპერატივებში მართვის

ხარისხის გაუმჯობესება და სათანადო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, კოოპერატივების წევრების მიერ კოოპერატიული საწარმოს მნიშვნელობის და მიზნების გაგების ამაღლება და კოოპერატივის საკუთრების გრძნობის გაძლიერება. პროექტის საქმიანობა განხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ზოგადი ამოცანები

ექსპერტი იმუშავებს ევროკავშირის ექსპერტის (გუნდის ხელმძღვანელი/ინსტიტუციონალური ექსპერტი) ზედამხედველობის ქვეშ და პროექტის გუნდთან და პროექტის პარტნიორთან (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. მას ასევე ექნება კავშირი ევროკავშირის/საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებულ სხვა პროექტებთან საქართველოში და პროექტის მონაწილე მხარეებთან.

აღწერა და პასუხისმგებლობა:

ექსპერტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს 1.24 საქმიანობის (კოოპერატივების განვითარების სფეროში სამინისტროს შიდა და სამინისტროთაშორისი პოლიტიკის და პროგრამების კოორდინაციის ხელშეწყობა) განხორციელებაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საქმიანობა/ამოცანები და მასთან დაკავშირებული გრაფიკი/საბოლოო ვადები:

საქმიანობა	დაწყება	დასრულება	ხანგრძლივობა
1.24 საქმიანობის (კოოპერატივების განვითარების სფეროში სამინისტროს შიდა და სამინისტროთაშორისი პოლიტიკის და პროგრამების კოორდინაციის ხელშეწყობა) განხორციელებაში.	01.04.2017	30.06.2017	3 თვე
1.24.1 ტექნიკური დავალების (მოდელის) მომზადება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის საბჭოს ჩამოსაყალიბებლად სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე (ტექნიკური დავალების წარდგენა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის და სააგენტოსთვის და მათი საბოლოო დასკვნის მიღება).			
დადებითი დასკვნის შემთხვევაში, კოლეგიალური ორგანოს, ე.წ. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის საბჭოს“, დაფუძნებაში დახმარება.			

პროექტის ინდიკატორები

პრემიერ მინისტრის ბრძანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის საბჭოს შექმნის შესახებ

საბჭოს სამუშაო გეგმა შექმნილი და დამტკიცებულია

საბჭო შექმნილია და მუშაობს

ანგარიშის წინასწარი და საბოლოო ვარიანტები (ინგლისური და ქართული ვერსიები) - კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს ჯერ ანგარიშის წინასწარი ვარიანტი და პროექტის კომენტარების მიღების შემდეგ, მოამზადოს საბოლოო ვარიანტი.

ანგარიში მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ა. დავალების განხორციელების კონტექსტის აღწერა
- ბ. დავალების ძირითადი დამკვეთების და მონაწილე მხარეების აღწერა
- გ. დავალების მიზნების და სფეროების აღწერა
- დ. მიდგომის/მეთოდოლოგიის და გამოყენებული ინსტრუმენტების მიმოხილვა
- ე. დეტალური წინადადება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ
- ვ. დეტალური სამოქმედო გეგმა ამ ორგანოს ჩამოყალიბების დაწყების პროცესისთვის
- ზ. დასკვნები და რეკომენდაციები

დანართები:

დანართი 1: ექსპერტის ტექნიკური დავალება

დანართი 2: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის საბჭოს დეტალური წინადადება/მოდელი

დანართი 3. ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა

დანართი 4. გამოკითხული/კონსულტირებული მონაწილე მხარეების ჩამონათვალი

დანართი 5. პრეზენტაცია Power Point ფორმატში.

ექსპერტს უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გამოცდილება განსაზღვრულ საქმიანობაში, რომ ჯეროვნად და მაღალპროფესიულად შეასრულოს თავისი ამოცანები პროექტის ფარგლებში.

ზემოაღნიშნული მიზნებისთვის ექსპერტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება პოზიციის შესაბამის სფეროში;
- სოფლის მეურნეობაში მუშაობის მინიმუმ ათწლიანი გამოცდილება
- სახელმწიფო ორგანიზაციაში მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება (ხელმძღვანელ თანამდებობაზე)
- აუცილებელია მთავარ კონსულტანტად და პოლიტიკის დარგში მრჩეველად (სამინისტროს დონეზე) მუშაობის გამოცდილება

- სასურველია საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება
- ზეპირი და წერილობითი ინგლისური/ქართული ენის ღრმა ცოდნა;
- კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარები;
- იმ ამოცანების შესრულების უნარი, რომლისთვის ის იქნა დაქირავებული
- კომპიუტერზე მუშაობის საფუძვლიანი ცოდნა (Word, Excel, PPP);
- საქართველოში (ქვეყნის შიგნით) მოგზაურობის შესაძლებლობა 2 თვით (2016 წლის ოქტომბერი - დეკემბერი).

განაცხადის წარდგენის მოთხოვნები

განმცხადებელმა უნდა გამოაგზავნოს დეტალური პირადი მონაცემები (CV) ინგლისურ ენაზე განათლების და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებთან ერთად.

განაცხადი გამოგზავნილი უნდა იქნეს ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე: **EVOLUXER:** mschuessel@evoluxer.com

განაცხადი შეფასდება პირადი მონაცემების (CV) საფუძველზე. პროექტი ახორციელებს არადისკრიმინაციულ პოლიტიკას და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს სხვადასხვა ასაკის, ეთნიკური წარმოშობის და სქესის ადამიანებისთვის.



ეს პროექტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ ENPARD პროგრამის ფარგლებში.

დანართი N2

სტეიქჰოლდერების (დაინტერესებული მხარეების) ჩამონათვალი, რომლებსაც ჩაუტარდათ გასაუბრება და ინტერვიუ;

- 1) სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავჯდომარე ბატონი გიორგი მიშელაძე;
- 2) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციის თავჯდომარე ბატონი გიორგი ზაქაიძე
- 3) საქართველოს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებთან გასაუბრება საკოორდინაციო საბჭოს მნიშვნელობაზე, რასაც ისინი ერთსულოვნად მიესალმებიან;
- 4) არაერთი შეხვედრა ევოლუქსერის აგრობიზნესის ექსპერტთან კონსტანტინე კობახიძესთან;

განმარტებითი ბარათი

წინამდებარე მთავრობის დადგენილების „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემუშავება განპირობებულია იმ აუცილებლობით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები, საჭიროებისას (მათ შორის გადაუდებელი საჭიროებისას, მაგ: სტიქიური უბედურება) შესაბამისი სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება და ა.შ. განხორციელება საკმაოდ რთულია ან შეუძლებელია მარტო ერთი სამთავრობო უწყების ან მის მიმართ დაქვემდებარებული სტრუქტურის (მაგ: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო) მეშვეობით და სცილდება მის (მათ) კომპეტენციას.

სოფლის მეურნეობის დარგების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა მთავრობის მთლიანად ან ცალკეული მისი უწყებების ჩართულობა საქმიანობის ეფექტიანობისათვის (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ასეთი ცვლილების დარეგისტრირება ეხება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის და ოპერირების მნიშვნელოვანი დეტალები დამოკიდებული არაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოზე, არამედ სხვა სამთავრობო დაწესებულებების კომპეტენციას წარმოადგენს).

სწორედ ასეთი გარემოებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სამთავრობო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სადაც საჭიროების მიხედვით ჩართული იქნებიან საქართველოს სამთავრობო დაწესებულებები (მათი საქვეუწყებოები და სსიპ-ები), არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ასეთი საბჭო შეიქმნება და მისი დებულება დამტკიცდება მთავრობის ნორმატიული აქტით (დადგენილებით).

საბჭოს ექნება სამთავრობო კოორდინაციის გზით დაგროვილი და სწრაფად მოსაგვარებელი საკითხების ეფექტიანად გადაჭრის მექანიზმი. საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები იქნებიან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, სსიპ შემოსავლების სამსახურის თავჯდომარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

იქნება საბჭოს წევრი და მდივანი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბჭოს მუშაობა, ორგანიზება და შესაბამისი დღის წესრიგის მომზადება.

საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები;

ასეთი საბჭოს შექმნის აუცილებლობა არის სწორედ ეხლა, რაც მოიტანა დრომ და გარემოებამ. ქვეყანაში სახეზეა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის მაღალი დონე, მთავრობის და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერილი პროგრამები, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმიანობა და მისი ფუნქციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამების და პროექტების მიმდინარეობა (მაგ: თხილი, მეფუტკრეობა, მერძევეობა, მევენახეობა), შესაბამისი ნორმატიული ბაზის მიღება, რომელიც ეხება მაგალითად შეღავათიან აკროკრედიტს, თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს, მათ შორის საგადასახადო შეღავათები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის (გრანტების შესახებ კანონი, საგადასახადო კოდექსი). არც არასამთავრობო სექტორია გვერძე დარჩენილი, მაგ: დაფუძნდა და წარმატებით ფუნქციონირებს ააიპ „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია“. მთავრობის დადგენილებით მოცემული საბჭოს უფლებამოსილებები მხოლოდ დახვეწავს და ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განხორციელებას. საბჭოზე შესაბამისი საჭირობოტო საკითხების გატანით, მთლიანად მთავრობის ჩართულობით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის აუცილებელი საკითხების გადაწყვეტით, კიდევ უფრო ეფექტიანი გახდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობა, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაუადვილდებათ სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცედურები და შეუმცირდებათ ბიუროკრატიული ბარიერები. საბჭოს არ ყავს აპარატი. წარმოდგენილი დადგენილების მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. დადგენილების მიღებას გავლენა არ აქვს სახელმწიფოს ბიუჯეტის საშემოსავლო ან ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას. დადგენილების მიღებით სხვა ნორმატიულ აქტებში არ შედის რაიმე ცვლილებები და დამატებები.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმომდგენია _____

დანართი N4

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება № _____
თარიღი _____ ქ. თბილისი**

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი
დებულების დამტკიცების თაობაზე**

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის, 28 და 29-ე მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ , „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერისათვის, შესაბამისი სტრატეგიის დაგეგმარებისა და მათი შემუშავების კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

- საქართველოს პრემიერ-მინისტრი – საბჭოს თავმჯდომარე;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი - საბჭოს წევრი;
- საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრი - საბჭოს წევრი;
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრი – საბჭოს წევრი;
- სსიპ შემოსავლების სამსახურის თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი - საბჭოს წევრი;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - საბჭოს წევრი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – საბჭოს წევრი;
- საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი - საბჭოს წევრი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი – საბჭოს წევრი;
- სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების განვითარების სააგენტო - საბჭოს მდივანი - საბჭოს წევრი;

მუხლი 2

დამტკიცდეს საბჭოს თანდართული დებულება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს _____.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) წარმოადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კუთხით დაგროვილი, აუცილებელი და გადაუდებელი საკითხების გადაჭრის სამთავრობო მექანიზმს და შექმნილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების, ამ დებულებისა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. საბჭოს უფლებამოსილება

საბჭოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საქართველოს მთავრობის მიერ წარსადგენ საკანონმდებლო რეფორმებზე მსჯელობა, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როგორც ინსტიტუციურ ისე ფინანსურ გაძლიერებას და რაც უფრო ეფექტიანს გახდის მათ საქმიანობას;

ბ) შესაბამისი პოლიტიკისა და ნორმატიული ბაზის შესახებ წინადადებების განხილვა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უკეთ განხორციელებას;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებისას წარმოშობილი შემზღვეველი ფაქტორების გადამჭრელი გზების მოძიება სამთავრობო კოორდინაციის და საკოორდინაციო საბჭოს წევრი სხვადასხვა სამინისტროების ჩართულობით;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობისას გამოვლენილი ბარიერული და რთულად დასაძლევ რგოლების აღმოჩენა და შესაბამისი გადამწყვეტი მექანიზმის (ების) ჩამოყალიბება საბჭოს წევრი სამთავრობო დაწესებულებების კოორდინაციის გზით;

ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გზით უმუშევრობის შემცირებისა და ლიკვიდაციის პროგრამებზე მსჯელობა და შესაძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი გეგმის დასახვა;

ვ) ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობისა და განვითარების მეშვეობით, სურსათის წარმოების ზრდის და სიღარიბის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა;

ზ) წინადადებების განხილვა, რომელიც ითვალისწინებს მცირე მიწიანი ფერმერების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლს ეკონომიკურ ზრდაში და სოციალურ კეთილდღეობაში;

თ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე ზეგავლენის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გეგმის დასახვა;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ორგანოების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხებში ჩართულობის საკითხის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გეგმის დასახვა¹;

კ) დაინტერესებული მხარეების მიერ (არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სამართლის იურიდიული პირები, ექსპერტები, სხვა დაინტერესებული მოქალაქეები) სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსათვის მიწოდებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, რომელთა გადაწყვეტა სცილდება მხოლოდ სააგენტოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებას, ფუნციებს და შესაძლებლობებს და წარმოადგენს სხვა სამინისტროს, სსიპ-ის ან საქვეუწყებო დაწესებულების კომპეტენციას;

ლ) შესაბამისი რეგიონალური ფორუმების ჩატარების შემდგომ, ადგილებიდან წამოსული უმნიშვნელოვანესი ინფორმაციისა და პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა;

მ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში საინვესტიციო პოტენციალის და მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობების განხილვა და შესაბამისი გეგმის დასახვა;

ნ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საგადასახადო შეღავათების, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული გადასახადებისგან (დაბეგვრისაგან) განთავისუფლების და ასეთი შეღავათების ვადის გაზრდის შესახებ წინადადებების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

ო) სტიქიური უბედურებების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის დროს კონკრეტული რაიონის (რაიონების, მუნიციპალიტეტების) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამატებითი შეღავათების და სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიებების განხილვა და დაგეგმვა.

პ) მინიჭებული ფუნქციების შესრულების მიზნით, ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულებისგან, აგრეთვე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოთხოვა;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველ ცალკეულ საკითხთა შესწავლა და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის;

რ) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის;

ს) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს ჰყავს მუდმივი და მოწვეული წევრები.

2. საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, სსიპ შემოსავლების სამსახურის თავჯდომარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი,

¹ ეს უფლებამოსილება მოცემულია კიდევაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, მე-16 მუხლი მე-4 პუნქტი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;

3. საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები;

4. საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ხმის უფლების გარეშე საბჭოს სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეული იქნენ სხვა თანამდებობის პირები.

5. საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ მინისტრის წინაშე.

მუხლი 4. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საბჭოს სხდომები დახურულია. საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომა შეიძლება გამოცხადდეს ღიად.

3. საბჭოს სხდომა, როგორც წესი, იმართება ექვს თვეში ერთხელ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოწვევით (ან აქ შეიძლება ესე: იმართება როდესაც საბჭოს მდივანი - სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო დააყენებს მნიშვნელოვან დღის წესრიგს რასაც უნდა სწრაფი გადაწყვეტა). საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეიძლება საბჭოს სხდომა, საჭიროებისამებრ მოიწვიოს დადგენილ ვადაზე ადრე, როდესაც არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კუთხით დაგროვილი, გადაუდებელი ან აუცილებელი საკითხის (საკითხების) განხილვის და ეფექტიანად გადაწყვეტის საჭიროება.

4. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტა საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

5. საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახილველ საკითხებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად. საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამოსცემს შესაბამის აქტებს.

6. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 5. სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო - საბჭოს მდივანი

1. საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს საბჭოს მუშაობის ორგანიზებას და შესაბამისი დღის წესრიგის მომზადებას;

ბ) ამზადებს საბჭოს სხდომებს;

გ) აკონტროლებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებების შესრულებას;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;

ზ) დადგენილი წესით ასრულებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის და სოფლის მეურნეობის მინისტრის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 6. საბჭოს გაუქმება და დებულებაში ცვლილების შეტანა

საბჭოს გაუქმება ან დებულებაში ცვლილების შეტანა ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

დანართი N5

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
ბრძანება № _____

თარიღი:

ქ. თბილისი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი
დებულების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის, 29 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერისათვის, შესაბამისი სტრატეგიის დაგეგმარებისა და მათი შემუშავების კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი – საბჭოს თავმჯდომარე;

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი - საბჭოს წევრი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი – საბჭოს წევრი;

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე - საბჭოს წევრი;

სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დირექტორი - საბჭოს წევრი;

ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი - საბჭოს წევრი;

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო - საბჭოს მდივანი - საბჭოს წევრი;

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი - საბჭოს წევრი;

შპს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი - საბჭოს წევრი;

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - რეგიონალური სამმართველოები - მოიწვევიან საბჭოს არამუდმივმოქმედ წევრებად, კონკრეტული საქართველოს რეგიონის საჭიროების მიხედვით;

საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით (ან მის გარეშე) შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სექტორული სამუშაო ჯგუფების წევრები და ა.შ. ;

მუხლი 2

დამტკიცდეს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭოს“ თანდართული დებულება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სოფლის
მეურნეობის მინისტრი

ლევან დავითაშვილი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) სათათბირო ორგანოს - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს.

2. საბჭოს საქმიანობის მიზანია, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კუთხით დაგროვილი, აუცილებელი და გადაუდებელი საკითხების გადაჭრის კუთხით ეფექტური მექანიზმის შემუშავება.

მუხლი 2. საბჭოს კომპეტენცია და უფლებამოსილება

საბჭოს კომპეტენციას და უფლებამოსილებას წარმოადგენს შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენ საკანონმდებლო რეფორმებზე მსჯელობა, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როგორც ინსტიტუციურ ისე ფინანსურ გაძლიერებას და რაც უფრო ეფექტიანს გახდის მათ საქმიანობას;

ბ) შესაბამისი პოლიტიკისა და ნორმატიული ბაზის შესახებ წინადადებების განხილვა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უკეთ განხორციელებას;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობისას წარმოშობილი შემზღვევითი ფაქტორების, გამოვლენილი ბარიერული და რთულად დასაძლევ რგოლების აღმოჩენა და შესაბამისი გადამჭრელი გზების მოძიება, სამთავრობო კოორდინაციის და შესაძლებლობის შემთხვევაში სხვადასხვა სამინისტროების და მათ სისტემაში შემავალი უწყებების დახმარებით;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სასურსათო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების შესახებ წინადადებების განხილვა;

ე) რამდენად ხორციელდება საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ საექსპორტო პოტენციალის გამოყენება, საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების მოპოვება და განმტკიცება;

ვ) წინადადებების განხილვა თუ რამდენად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციით აგრო-სასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;

ზ) წინადადებების განხილვა თუ რამდენად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხრიდან ბიოაგროწარმოების ხელშეწყობა;

თ) ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობისა და განვითარების მეშვეობით, სურსათის წარმოების ზრდის და სიღარიბის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა;

ი) წინადადებების განხილვა, რომელიც ითვალისწინებს მცირე მიწიანი ფერმერების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლს ეკონომიკურ ზრდაში და სოციალურ კეთილდღეობაში;

კ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე ზეგავლენის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გეგმის დასახვა;

ლ) ადგილობრივი თვითმართველობის (მუნიციპალიტეტის) ორგანოების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხებში ჩართულობის საკითხის განხილვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გეგმის დასახვა²;

მ) დაინტერესებული მხარეების მიერ (არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სამართლის იურიდიული პირები, ექსპერტები, სხვა დაინტერესებული მოქალაქეები) სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსათვის მიწოდებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, რომელთა გადაწყვეტა სცილდება მხოლოდ სააგენტოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებას, ფუნციებს და შესაძლებლობებს და წარმოადგენს სხვა სამინისტროს, სსიპ-ის ან საქვეუწყებო დაწესებულების კომპეტენციას;

ნ) შესაბამისი რეგიონალური ფორუმების ჩატარების შემდგომ, ადგილებიდან წამოსული უმნიშვნელოვანესი ინფორმაციისა და პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა;

ო) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში საინვესტიციო პოტენციალის და მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობების განხილვა და მთავრობის სხდომისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება;

პ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საგადასახადო შეღავათების, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული გადასახადებისგან (დაბეგვრისაგან) განთავისუფლების და ასეთი შეღავათების ვადის გაზრდის შესახებ წინადადებების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;

ჟ) სტიქიური უბედურებების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის დროს კონკრეტული რაიონის (რაიონების, მუნიციპალიტეტების) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამატებითი შეღავათების და სხვადასხვა ხელშეწყობი ღონისძიებების განხილვა და დაგეგმვა.

² ეს უფლებამოსილება მოცემულია კიდევაც „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში, მე-16 მუხლი მე-4 პუნქტი;

რ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის მიზნით, კანონმდებლობის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისაგან ასევე კერძო სამართლის სუბიექტებისაგან;

ს) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი;

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს ჰყავს მუდმივი და მოწვეული წევრები.

2. საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი,

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დირექტორი, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, შპს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი, შპს მექანიზატორი, საჭიროებისას, საქართველოს კონკრეტული რეგიონის მიხედვით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - რეგიონალური სამმართველოების წარმომადგენლები.

3. საბჭოს მუდმივი წევრების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის გადაწყვეტილებით, საბჭოს სხდომაზე ხმის უფლებით (ან მის გარეშე) შეიძლება მოწვეული იქნენ: საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა წევრები, სხვა საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაცია), ექსპერტები, სამეცნიერო წრეების და დაწესებულებების წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სექტორული სამუშაო ჯგუფების წევრები და ა.შ. ;

4. საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის წინაშე;

5. საბჭოს წევრთა საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი და მათთან რაიმე სახის ხელშეკრულება არ ფორმდება;

მუხლი 4. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2. საბჭოს სხდომის ჩატარება არ არის შეზღუდული რაიმე ვადით, საბჭოს წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ, განსახილველი საკითხების სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

3. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. საბჭოს იმ წევრებს, რომლებსაც ექნებათ განსხვავებული აზრი შემუშავებულ წინადადებებთან ან/და რეკომენდაციებთან დაკავშირებით, უფლება აქვთ მინისტრს წარუდგინონ ალტერნატიული წინადადებები ან/და რეკომენდაციები.

4. საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახილველ საკითხებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

5. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. ოქმში უნდა აისახოს საბჭოს ნებისმიერი წევრის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობაზე თავშეკავების, უარის თქმის მიზეზი ან სხდომაზე გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი.

მუხლი 5. სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო - საბჭოს მდივანი

1. საბჭოს მდივანი:

- ა) უზრუნველყოფს საბჭოს მუშაობის ორგანიზებას და შესაბამისი დღის წესრიგის მომზადებას;
- ბ) ამზადებს შესაბამის წინადადებებს და საბჭოს სხდომებს;
- გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;
- დ) დადგენილი წესით ასრულებს სოფლის მეურნეობის მინისტრის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 6. საბჭოს ლიკვიდაცია და დებულებაში ცვლილების შეტანა

საბჭოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მის შემადგენლობაში და დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.